



მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 6 აპრილი, 2017 წელი

დრო: 16:00 – 18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: სასტუმრო „ბეთსი“

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ელიზბარაშვილი - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
2. თენგიზ სვანიძე - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია „საქართველოს ჩაი“
3. ქეთევან ვაშაკიძე - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ევროპის ფონდი
4. ლია თოდუა - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
5. მანანა წულაია - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“
6. ლევან გეგეშიძე - მეგობრობის ხიდი „ქართლოსი“
7. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
8. ნანა ფიროსმანაშვილი - ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
9. ლიკა მარღანია - საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაციის „მერსი ქორფს“-ის წარმომადგენლობა საქართველოში
10. თამაზ ვაშაკიძე - საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
11. ირინა გურული - ეკონომიკური პოლიტიკისა და კვლევის ცენტრი
12. ნათელა გიუნაშვილი - ასოციაცია - საზოგადოება განვითარებისთვის
13. ალუ გამახარია - ასოციაცია მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია
14. ირინე მექერიშვილი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
15. ნინო ზურიაშვილი - სტუდია მონიტორი
16. მზია ნაკაშიძე - საქართველოს პროფესიული განათლების ფონდი

განსახილველი საკითხები:

1. 2016 წლის საქმიანობის შეფასება;
2. საქართველო-
ევროკავშირისასოცირებისშეთანხმებისსამოქმედოგეგმისდღისწესრიგის მიხედვითII
სამუშაო ჯგუფის 2017 წლის სამოქმედო სტრატეგიის განსაზღვრა;
3. სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების ცვლილებების და დამატებების რეგისტრაცია;
4. სხვა

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნეს ჯგუფის კოორდინატორებმა და დამსწრეებს გააცნეს შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად, ჯგუფმა განიხილა 2016 წლის სამოქმედო გეგმა, რათა შეფასდეს გასული წლის საქმიანობა. 2016 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, ჩამოყალიბებული იყო სამი ძირითადი სამუშაო მიმართულება:

- **ჯგუფის ფარგლებში ქვეჯგუფების/ თემატური სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბება;**
- **პლატფორმებთან/ჯგუფებთან/კვალიციებთან თანამშრომლობა;**
- **პრიორიტეტული საკითხების ადვოკატირება/პოლიტიკის დოკუმენტების მომზადება**

როგორც ჯგუფის მსჯელობისას გამოიკვეთა არ მომხდარა ქვეჯგუფების შექმნა, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ინიციატივები არსებობდა. საკითხთან დაკავშირებით, სამუშაო ჯგუფის ყოფილმა კოორდინატორმა, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წესდების მიხედვით, საკოორდინაციო საბჭოსადმი 5 ორგანიზაციისგან შემდგარი საინიციატივო ჯგუფის მიმართვა საკმარისია ქვეჯგუფის შესაქმნელად, თუმცა მსგავსი მიზნით საინიციატივო ჯგუფი არ შეკრებილა. ჯგუფმა ასევე იმსჯელა იმ საკითხებზე, რაც ხელს უშლის მთლიანად პლატფორმის ფუნქციონირებას. მათ შორის პლატფორმის წევრების მოტივაციის, საქმიანობის წესის, კვალიციის შესახებ საზოგადოებაში ინფორმაციის გავრცელებისა და სხვა საკითხების შესახებ. გამოითქვა მოსაზრება, რომ შეხვედრებზე მოწვეულნი იყვნენ ჟურნალისტები, დაიწეროს სტატიები პლატფორმის საქმიანობის შესახებ, განხორციელდეს შეხვედრების პირდაპირი ჩვენებები და ამ გზით აქტიურად გავრცელდეს ინფორმაცია კვალიციის საქმიანობის შესახებ.

არჩეულმა თავმჯდომარემ განაცხადა, რომ იგი საბჭოსთან ერთად, მუშაობს პლატფორმის საქმიანობის ორგანიზაციული საკითხების მოგვარების შესახებ. მათ შორის, გააჟღერა ინფორმაცია, რომ სურს საერთო კრების კიდევ ერთხელ ჩატარება, სადაც განიხილება წესდება და მთლიანად პლატფორმა იმსჯელებს კვალიციის საჭიროებებსა და გამოწვევებზე ეფექტურად რეაგირების გზებზე.

ორგანიზაციების: „ენერგოეფექტურობის ფონდი“-სა და „სტუდია მონიტორი“-ს წარმომადგენლებმა გამოთქვეს ინიციატივა შეიმუშაონ სპეციალური კითხვარი, რომელიც გავრცელდება პლატფორმის ელექტრონულ ჯგუფში, რათა გამოიკვეთოს პლატფორმის წევრი ორგანიზაციების მოტივაცია, მათი მოსაზრებები ჯგუფის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით და ის სხვა გამოწვევები, რომელთა წინაშეც პლატფორმა და კერძოდ მეორე სამუშაო ჯგუფი დგას.

ჯგუფის წევრებმა ასევე გამოთქვეს უკმაყოფილება ასოცირების დღის წესრიგის წლიური სამოქმედო გეგმის შესახებ, რაც მათ მიეწოდათ განსახილველად. მათი მოსაზრებით, გეგმის მსგავსი სახით დანაწევრება არ იძლევა ერთიან სურათს, ამასთანავე, მათი აზრით, გეგმას აკლია ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი.

შეხვედრის შემდეგ ეტაპზე დამსწრეებმა იმსჯელეს მეორე სამუშაო ჯგუფის 2017 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ.¹ დისკუსიის შედეგად ჩამოყალიბდა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რაზეც ჯგუფმა უნდა იმუშაოს 2017 წელს, თუმცა აქვე მიღებული იქნა გადაწყვეტილება სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია გავრცელდეს პლატფორმის მეორე სამუშაო ჯგუფის ელექტრონულ ჯგუფში და წევრმა ორგანიზაციებმა, დაამატონ მათთვის სასურველი საკითხები.

შემდეგ საკითხად, ჯგუფმა მოისმინა საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაციის(ABCO) წარმომადგენლის მიერ მომზადებული მცირე პრეზენტაცია: *სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ცვლილებების და დამატებების რეგისტრაციის შესახებ*.

როგორც ABCO-ს წარმომადგენელმა აღნიშნა, მთავარი პრობლემა რასაც ორგანიზაცია მუშაობის პროცესში აწყდება გახლავთ სახელმწიფო სერვისების მომსახურების დაბალი ხარისხი. კერძოდ კოოპერატივების შესახებ ინფორმაციის არასწორი გავრცელება, რეესტრის თანამშრომელთა დაბალი კვალიფიკაცია, რაც თავის მხრივ, სერიოზულ პრობლემებს ქმნის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ცვლილებების და დამატებების რეგისტრაციის პროცესში და სხვა. მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა კოოპერატივების განვითარების სააგენტოს საქმიანობის შესახებ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მათი საქმიანობა საერთოდ აცდენილია იმ პრინციპებს, რის საფუძველზეც შეიქმნა განვითარების სააგენტო.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.

¹ოქმს თან ერთვის ჯგუფის 2017 წლის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია